განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამა

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის
სახელობის უნივერსიტეტი

31.01.2020
დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204577582
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქრისტიანობის ისტორია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ისტორიის დოქტორი (PhD in History) 0222 ისტორია და არქეოლოგია
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული, პროგრამა აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 24 აგვისტოს №106 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ჯიქია, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბონდო კუპატაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეონა კუპრაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
  - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი) წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს და მდებარეობს თბილისში (ქალაქი თბილისი, დ. უზნაძის 68). სწავლების ენა ქართულია. პროგრამის დანერგვის და შემდგომი აკრედიტაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს ქრისტიანობის ისტორიის მკვლევრებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგების მომზადება. პროგრამის მთავარი პრიორიტეტია ქრისტიანობის ყველა კონფესიის ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო კვლევა და ამ სფეროში ახალი ცოდნის შექმნა კონკრეტული კვლევითი პრობლემატიკით და, ამავდროულად, სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგიის, კვლევის თანამედროვე მეთოდების სპეციფიკისა და პრინციპების ერთიანი სისტემით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
  - აკრედიტაციის ვიზიტი საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელდა 2019 წლის 9 დეკემბერს. ექსპეტთა ჯგუფი წინასწარ გაეცნო თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის დღეს ინტერვიურების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
  - 9 დეკემბერს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში 10.00 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, მოქმედ დოქტორანტებთან და დამსაქმებლებთან.
  - ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, კაბინეტები და ა.შ.) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგითა და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- **რეკომენდაციები**
  1. „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს უნივერსიტეტის მისიასთან.
  2. პროგრამის არჩევითი საგნების უმეტესობა ზოგადად რელიგიის ისტორიის მიმართულებისაა, შესაბამისად პროგრამა უფრო მეტად უნდა დაიტვირთოს ქრისტიანობის ისტორიის დისციპლინის კურსებით.

3. სასწავლო კურსში „თანამედროვე რელიგიური მოძრაობები“ დასაზუსტებელია თემატიკა (თემა N3, N4, N5, N6, N7).
4. საფუძვლიანად არის გადასამუშავებელი სასწავლო კურსი „ქრისტიანობის ისტორიის აქტუალური პრობლემები“.
5. არჩევითი სასწავლო კურსი „ბიბლიური არქეოლოგია“ საბაკალავრო საფეხურის კურსია, შესაბამისად ის ამოღებულ უნდა იქნეს პროგრამიდან.
6. უსდ-მ, ფაკულტეტმა და პროგრამის ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართვაზე.
7. ამჟამად პროგრამაზე ჩარიცხული 4 დოქტორანტიდან უმრავლესობას არ აქვს მკაფიოდ განსაზღვრული საკუთარი სადოქტორო თემის მონახაზი და სამუშაო გეგმა. დამაფიქრებელია დოქტორანტების მიერ დასახელებული სავარაუდო სადისერტაციო თემების დისერტაბელურობა.
8. დაზუსტდეს და განისაზღვროს სილაბუსებში დასკვნით გამოცდაზე გამსვლელი ქულის მინიმუმი.
9. სილაბუსები უნდა ითვალისწინებდეს კურსის შინაარსს და სპეციფიკას და ამის შესაბამისად, ინდივიდუალურად უნდა გაიწეროს სწავლების აქტივობები და შეფასების კრიტერიუმები.
10. საჭიროა უნივერსიტეტმა შეიმუშაოს შეფასების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი.
11. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა მოიძიოს და მოიწვიოს შესაბამისი გამოცდილების მქონე, მაღალკვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, შეძლებენ სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიონ დოქტორანტებს და გარდა ამისა, მნიშვნელოვნად ჩაერთვებიან პროგრამის განვითარების პროცესშიც. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროგრამის მდგრად ფუნქციონირებას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია ასურველიაოგრამის განვითარებისთვ, სურველიაოგრამის განვითარებისთვისოს და
2. სასურველია პროგრამას დაემატოს ისეთი სასწავლო კურსი, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტისთვის სამეცნიერო მენეჯმენტის უნარ-ჩვევების ათვისებას.
3. ვინაიდან სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა უმრავლესობას წინა საფეხურების განათლება მიღებული აქვთ 2006 წლის საგანმანათლებლო რეფორმამდე და შესაბამისად არ აქვთ გავლილი აკადემიური წერა, სასურველია პროგრამის არჩევით ბლოკს დაემატოს სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“.
4. სასურველია სპეციალობის სავალდებულო კურსს „ქრისტიანული ღვთისმეტყველების ისტორია“ მოეხსნას წინაპირობა ისეთი სასწავლო კურსების, როგორიცაა „მეცნიერული კვლევების მეთოდოლოგია“ და „სწავლების და შეფასების სტრატეგიები“. კურსის წინაპირობად დარჩეს სასწავლო კურსი „ქრისტიანობის ისტორიის აქტუალური პრობლემები“.

5. პროგრამაშის სავალდებულო კურსს „ქრისტიანული ღვთისმეტყველების ისტორია“ სასურველია მოეხსნასია სავალდებულო კურსს „ქრისტიანულის, როგორიცაა „მეცნიერული კვლევების მეთოდოლოგია“ და „სწავლების და შეფასების სტრატეგიები“. კურსის წინაპირობად დარჩეს სასწავლო კურსი „ქრისტიანობის ისტორიის აქტუალური პრობლემები“.
6. პროგრამაში სასწავლო კურსები უთანაბროდაა გადანაწილებული აკადემიურ პერსონალს შორის, ერთი აკადემიური პერსონალი კითხულობს ოთხ სასწავლო კურსს (20 კრედიტი), მაშინ, როდესაც დარჩენილი 20 კრედიტი გადანაწილებულია სხვა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე (10 კრედიტის ფარგლებში ხორციელდება პროფესორის ასისტენტობა და საცდელი ლექციის მომზადება).
7. პროგრამის მდგრადობისთვის სასურველია დოქტორანტთა ხელმძღვანელების რიცხვის გაზრდა.
8. პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის, სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ერთიანი სტრატეგია.
9. სასურველია უნივერსიტეტმა შექმნას სტუდენტთა ელექტრონული პორტალი.
10. სასურველია უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.
11. სასურველია არ მოხდეს საქმისწარმოებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახურისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციების გადაფარვა.
12. პროგრამის ხელმძღვანელმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უნდა იზრუნონ დოქტორანტთა რაოდენობის გაზრდაზე, რათა პროგრამა გახდეს ფინანსურად მდგრადი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

წინა აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციები (დაკვნის თარიღი: 08/05/2018) ამგვარად გამოიყურება:

- პროგრამა შესაბამისობაშია მოსაყვანი უნივერსიტეტის მისიასთან (ან პირიქით, მისიაა განსაახლებელი, რომ მან მოიცვას ახალი პროგრამები).
- არჩევითი კურსების ჩამონათვალი გასამდიდრებელია წმინდა ისტორიული საგნებით, რომლებიც კავშირში იქნება ქრისტიანობის ისტორიის აქტუალურ პრობლემებთან;
- ცალკეული კურსები, (ქრისტიანობის ისტორიის აქტუალური პრობლემები, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის აქტუალური საკითხები, კულტურის ანთროპოლოგია), საჭიროებს თემატიკის და ლიტერატურის გადახალისებას, გარდა ამისა, სავალდებულო საგნის „ქრისტიანობის ისტორიის აქტუალური პრობლემები“ სილაბუსი უნდა გადამუშავდეს და მოყვანილ იქნას შესაბამისობაში სადოქტორო დონესთან;
- პროგრამის შემუშავებისას აკადემიური პერსონალის უფრო აქტიური ჩართვა იყოს უზრუნველყოფილი და ის არ შემოიფარგლოს მხოლოდ კონკრეტული კურსის მომზადებით.
- დასახვეწია პროგრამის სტრუქტურა და მასში მკაფიოდ და ლოგიკურად უნდა გაიწეროს სავალდებულო და არჩევითი კურსების აღების პრინციპები, აგრეთვე ლოგიკური იქნება, რომ სტუდენტმა ჯერ გაიაროს პროფესორის ასისტენტობა, შემდეგ სემესტრში კი – საჩვენებელი

ლექციის მომზადება-ჩატარება. ასეთ შემთხვევაში დოქტორანტს უფრო გაუადვილდება საჩვენებელი ლექციის მომზადება და ჩატარება.
- გასასწორებელია პროფესორის ასისტენტის შეფასების სქემა და ის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი.
- უნივერსიტეტს გასაწერი აქვს, თუ როგორ მოხდება პუბლიკაციების გამოქვეყნება საერთაშორისო გამოცემებში და რომელ გამოცემებს მიენიჭება პრიორიტეტი.
- უნივერსიტეტის წარმატებული ინტერნაციონალიზაციისთვის რეკომენდებულია, მას ჰქონდეს სწორი ორიენტირები, სამოქმედო გეგმა, რომლიც მიხედვითაც ის განავითარებს ამ მიმართულებას, პროგრამაზე სტუდენტების არსებობის შემთხვევაში.
- უნივერსიტეტმა აუცილებლად უნდა შეიძინოს ერთი ელექტრონული ბაზა მაინც (ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავლად JSTOR-ი მიგვაჩნია), რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, უპრობლემოდ ისარგებლონ სამეცნიერო სტატიებით მათ დარგში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ წინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების უმეტესობა არ არის გათვალისწინებული დაწესებულების მიერ. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გათვალისწინებულ იქნა ფაქტიურად მხოლოდ ერთი რეკომენდაცია:

- ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერები შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით (ANSYS, MathCAD, MathLAB, ArchiCAD და სხვა); სტუდენტებს წვდომა აქვთ სხვადასხვა ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე.
- მართალია პროგრამის ხელმძღვანელმა განგვიმარტა, რომ ურთიერთთანამშრომლობის პროცესი დაწყებულია უცხოეთის რამდენიმე უნივერსიტეტთან, თუმცა ეს არ არის საკმარისი და საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურება.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მისია შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „1. საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო სივრცეში შეინარჩუნოს ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიციების უმნიშვნელოვანესი მონაპოვრები და უზრუნველყოს მათი შერწყმა თანამედროვე საერთაშორისო ტექნოლოგიურ მიღწევებთან; გამოიყენოს ქართული და ევროპული მეცნიერული სკოლების მემკვიდრეობა და ჩართოს მომავალი სპეციალისტების აღზრდის – ევროპული განზომილებების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების მიღების უზრუნველყოფის საქმეში; 2. ხელი შეუწყოს სოციალური მსახურების (მედიცინა და ჯანდაცვა, სოციალური მუშაობა და სოციალური უზრუნველყოფა, ინკლუზიური განათლება, მენტალური ჯანმრთელობის დაცვა, ექთნების/მოწყალების დების განათლება და ა.შ.) გაფართოებას და ამ მსახურებისათვის მზაობის განვითარებას ქვეყანაში; იზრუნოს სოციალურ მსახურებაში ეკლესიის, საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლობათა, ორგანიზაციათა, სოციალურ ინსტიტუციათა ჩართულობაზე; მეცნიერულ და საგანმანათლებლო საფუძვლებზე დაყრდნობით შეიმუშაოს სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესების გზები; 3. თანამედროვე საზოგადოებაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განსხვავებულ კულტურებს შორის ურთიერთკავშირების განვითარებისთვის ხელშეწყობა, რაც შექმნის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, კულტურათშორისი დიალოგის წარმართვის, კონფლიქტოგენურობის შესუსტებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველს;

4. მომავალი თაობების აღზრდის მიზნით შექმნას განათლების ევროპული განზომილებების მოთხოვნათა შესაბამი სოციალური, ინსტიტუციური, ეთიკური (ზნეობრივი) და ინტელექტუალური (სასწავლო-მეცნიერული) ბაზისი“.
სასურველია უნივერსიტეტის მისია დავიწროვდეს, რათა რეალისტური გახდეს მისი შესრულება. აღნიშნული უნივერსიტეტს გაუადვილებს დაიკავოს თავისი ნიშა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

პროგრამის მიზნებში აღნიშნულია შემდეგი:
„პროგრამის მიზანია ქრისტიანული რელიგიის ისტორიის დარგში მოამზადოს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალკვალიფიციური მკვლევარები, რომლებიც შეძლებენ დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევების ჩატარებას და სწავლებას უმაღლეს სასწავლებლებში.
პროგრამას აქვს კონკრეტული მიზანი: განახორციელოს კვლევები ქრისტიანობის ყველა კონფესიასა და მიმდინარეობასთან მიმართებაში; შესაბამისი წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ბაზების კვლევის საფუძველზე წამოსწიოს ისტორიულ მეცნიერებათა თვალსაზრისით პრობლემური და შეუსწავლელი საკითხები, გააშუქოს და განიხილოს ისინი სხვადასხვა კონტექსტში (საერთაშორისო და ქვეყნის შიგნით ეკლესიათაშორის, ინტერკონფესიურ, ინტერრელიგიურ, სეკულარულ ურთიერთობებში). კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ექნება დათმობილი ახალ და უახლეს მსოფლიო ისტორიაში ქრისტიანულ რელიგიაში განვითარებული მოვლენებისა და პროცესების კვლევებს და ამ ფონზე ქართული სინამდვილის შესწავლასა და ანალიზს.
პროგრამის მიზანია მიმდინარე ისტორიული პროცესების შესწავლით არა მარტო აიხსნას თანამედროვე ეტაპზე ქრისტიანობაში არსებული ინსტიტუციური, რელიგიური და სხვა პრობლემები, არამედ კვლევებით წარმოჩინდეს ამ პრობლემათა დაძლევის გზები. გასათვალისწინებელია, რომ ქრისტიანობის კვლევები თავისი შინაარსით ინტერდისციპლინურია, რაც გულისხმობს მეთოდოლოგიურად გამართულ კვლევებს მომიჯნავე დარგებთან მიმართებაში.
პროგრამა მოამზადებს ქრისტიანობის მკვლევარ-ისტორიკოსს, რომელიც საფუძვლიანად ფლობს ქრისტიანობის ისტორიის დარგში აუცილებელ ცოდნასა და კვლევის მეთოდებს, აქვს უნარი, დამოუკიდებლად ჩაატაროს კვლევა, ღრმად გაიაზროს, კრიტიკულად მიუდგეს ისტორიულად არსებულ იდეებს, ფაქტებსა და მოვლენებს, გაანალიზოს მოპოვებული მასალა, გამოიტანოს ლოგიკური, დასაბუთებული დასკვნები და ქრისტიანობის ისტორიის სფეროში შექმნას ახალი ცოდნა, რომელსაც ექნება არა მხოლოდ ლოკალური, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობა და ამგვარად თავის წვლილს შეიტანს ზოგადად დარგის განვითარებაში. პროგრამა გამიზნულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მსოფლიო და ეროვნული ისტორიული ქრისტიანობის მიმართულებებისა და ეკლესიების წიაღში მიმდინარე წარსულისა თუ თანამედროვეობის პროცესების კვლევებს და მათ გააზრებას საერთაშორისო კონტექსტში.
სადოქტორო პროგრამა ხელს შეუწყობს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თანამშრომლობითი კავშირების განვითარებისთვის გზების ძიების პროცესს სხვადასხვა ეკლესიებთან, რელიგიურ ორგანიზაციებთან, სახელმწიფოსთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე ეროვნული სოციალურ–კულტურული და ისტორიული

თვითმყოფადობის სიღრმისეულ წარმოჩენას და მის დაცვა-შენარჩუნებას თანამედროვე გლობალურ სამყაროში ინტეგრირების პროცესში.“ მისასალმებელია, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია პროფესორის ასისტენტობა, რომლის ფარგლებში დოქტორანტები ასრულებენ შემდეგი ტიპის სამუშაოებიდან ერთ ან რამდენიმე დავალებას: სტუდენტების შეფასებაში მონაწილეობა; პროფესორის ხელმძღვანელობით კურსის მასალების მომზადება; კურსის კომპონენტის ჩატარება (მაგ. სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობა, საველე სამუშაო და ა.შ.); საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების ხელმძღვანელობა; სასემინარო კურსის დამოუკიდებლად ჩატარება. პროგრამაში სავალდებულო სტატუსი აქვს „საჩვენებელი ლექციის მომზადება-ჩატარებას“. კურსის ფარგლებში დოქტორანტს მოეთხოვება წარმოადგინოს წერილობით ხელმძღვანელთან და შემდგომ დეკანატში ლექციის პროექტი და წინასწარ დანიშნულ დროს ჩაატაროს ლექცია მიმართულების პროფესორთა, დოქტორანტთა და/ან სტუდენტთა წინაშე. პროგრამაში კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროს ჩამოთვლისას აღნიშნულია შემდეგი: „ისტორიის დოქტორის ხარისხის მქონე სპეციალისტის დასაქმების შესაძლებელი არეალია: სხვადასხვა ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო, კვლევითი და სასწავლო დაწესებულებები, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტები და აკადემიები; სახელმწიფო დაწესებულებები, გამომცემლობები, ქრისტიანობის პრობლემებით დაინტერესებულ სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებები, ორგანიზაციები და რესურს-ცენტრები; პრესცენტრები, რედაქციები, რადიო და ტელევიზია, საერთაშორისო დასაქმების სფეროები ფონდები, რელიგიისა და კულტურის რეგიონალური და საერთაშორისო ფონდები. მას შეუძლია იმუშაოს თავისუფალი მკვლევარის სტატუსით“. პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებულები, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პოტენციურ დამსაქმებლებს: საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარიის, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ცაგერის სასულიერო სემინარიის, საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიის, საქართველოს საპატრიარქოს საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვის სამსახურის კურატორთან და ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის სწავლულ მდივანთან. ორივე წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისურვებდა აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულების თავიანთ დაწესებულებებში დასაქმებას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები ნათელი, რეალისტური და მიღწევადია. „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს უნივერსიტეტის მისიასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მისია სადოქტორო პროგრამა „ქრისტიანობის ისტორია“
რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
- „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო პროგრამა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს უნივერსიტეტის მისიასთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
- სასურველია უნივერსიტეტის მისია დავიწროვდეს, რათა რეალისტური გახდეს მისი შესრულება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, რომელთაგან სასწავლო კომპონენტი მოიცავს 50 ECTS კრედიტს, კვლევითი კომპონენტი კი – 130 ECTS კრედიტს. პროგრამაში გათვალისწინებულია სავალდებულო, სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი

სასწავლო კურსები. სავალდებულო სასწავლო კურსებია: „მეცნიერული კვლევების მეთოდოლოგია“, „სწავლების და შეფასების სტრატეგიები“, „ისტორიის კვლევის მეთოდები“, სპეციალობის სავალდებულო კურსებია: „ქრისტიანობის ისტორიის აქტუალური პრობლემები“, „ქრისტიანობის კვლევების მეთოდოლოგია, წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია“ და „ქრისტიანული ღვთისმეტყველების ისტორია“. არჩევით ბლოკში გათვალისწინებულია შემდეგი სასწავლო კურსები: „ბიბლიური არქეოლოგია“, „თანამედროვე რელიგიური მოძრაობები“, „კულტურის ანთროპოლოგია“ და „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის აქტუალური საკითხები“.

დოქტორანტი ასევე ვალდებულია ჩაატაროს ერთი საცდელი ლექცია და ასისტირება გაუწიოს პროფესორს.

დოქტორანტს 130 კრედიტი ენიჭება დისერტაციის დაცვის შემდეგ.

პროგრამის შვიდი სწავლის შედეგის მიხედვით დოქტორანტს შეეძლება:

- დოქტორს ექნება უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული საფუძვლიანი, ღრმა და სისტემური ცოდნა ქრისტიანობის ისტორიაში, სამომავლო საკვლევი პრობლემატიკის გლობალური ხედვა; ასევე ქრისტიანულ რელიგიაში მიმდინარე ისტორიული პროცესების კვლევისა და გაანალიზების უნარი, რის შედეგადაც ის ღრმად გააცნობიერებს ქრისტიანული რელიგიის არსს, ქრისტიანული კულტურის და ქრისტიანული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას; შეძლებს მოძებნოს სათანადო გზები და მეთოდები ცოდნის გადასაცემად.
- დოქტორი შეძლებს ქრისტიანული რელიგიის გააზრებას მსოფლიო რელიგიათა კონტექსტში, ქრისტიანული კონფესიების მრავალფეროვნებისა და ქრისტიანულ კონფესიათა განსხვავებულობის არსში ჩაწვდომას, კავშირების დადგენას სხვადასხვა ხალხთარელიგიებს შორის. მათ განხილვას, საერთო ისტორიული და კულტურული მიმართებით, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს ინტერდისციპლინალურ ანალიზს. ქრისტიანობის ისტორიისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდების ფლობა საშუალებას მისცემს მას იმუშაოს საერთაშორისო სტანდარტის დონეზე; ის ირჩევს კვლევის მეთოდოლოგიას და ახდენს ქრისტიანობის ისტორიაში შეუსწავლელი ფაქტებისა და მოვლენების დათარიღებას, მათი ისტორიული ადგილის განსაზღვრას და შეფასებას.
- დოქტორი შეძლებს გამოიყენოს ცოდნა პრაქტიკაში: ერთის მხრივ, გადასცეს ცოდნა ქრისტიანობის ისტორიის სფეროში სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე მყოფ სტუდენტებს. მეორეს მხრივ, სამეცნიერო-კვლევით სფეროში საქმიანობისას ანალიტიკურად მიუდგეს პრობლემას, დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს კვლევითი პროექტი, ასევე ზედამხედველობა გაუწიოს კვლევის მსვლელობას; აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით მას შეეძლება შექმნას ახალი ცოდნა, რაც აისახება მის სამეცნიერო პუბლიკაციებში.
- დოქტორს შეეძლება განახორციელოს ცალკე აღებული ქრისტიანული კონფესიის, ეკლესიის, წერილობითი თუ მატერიალური ძეგლის ან ძეგლთა ჯგუფის მრავალმხრივი შესწავლა, საჭიროების შემთხვევაში არგუმენტირებული დათარიღება, საერთო ისტორიულ კონტექსტში განხილვა და ქრისტიანობის ისტორიაში ადგილის მიჩენა. მას ექნება არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი მაშინაც კი, თუ მონაცემები რთული, არასრული და წინააღმდეგობრივია. ამ

პროცესში ის შეძლებს გამოიყენოს ახალი მიდგომები, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რესურსები და დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება.

- ქრისტიანობის ისტორიისა და მისი კონკრეტული სფეროს (ქვედარგის) საფუძლიანი ცოდნა და კვლევის უნარი საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულს შეაფასოს და გააკრიტიკოს არსებული ინფორმაცია, ასევე, დაიცვას მოპოვებული ცოდნა, ლოგიკურად დაასაბუთოს დასკვნები. ყოველივე მოგვცემს სპეციალისტს, რომელსაც ექნება კვლევის დამოუკიდებლად წარმართვისა და სამომავლო პროექტების განვითარებას უნარი, შეეძლება ქრისტიანობის ისტორიის სფეროში არსებული ცოდნა და ძირითადი იდეები საფუძვლიანად გაიაზროს და გაითავისოს, ამით ჩვენ შევინარჩუნებთ ქრისტიანობის კვლევების დარგში ცოდნის უწყვეტობას; ამით დოქტორი იქნება ქრისტიანობის ისტორიაში არსებული ცოდნის და გამოცდილების მატარებელი და შემნახველი.
- პროგრამით გათვალისწინებული მიღებული ცოდნის საფუძველზე, ახალი იდეების, სამეცნიერო მიღწევების გამოყენების შესაძლებლობები სწავლება-კვლევების პროცესში.
- დოქტორს შეუძლია მომავალი თაობების აღზრდა: მას ექნება ცოდნის ტრანსფორმირების უნარი. შეეძლება მასალის გასაგები ფორმით პრეზენტირება, ცოდნის გადაცემა, სწავლება, ცოდნის მიწოდება ყველა დაინტერესებული პირისათვის: ნებისმიერ დონეზე (პროფესიული წრე, ფართო საზოგადოება); შეუძლია ზნეობრივი და პროფესიული, სამეცნიერო ღირებულებებისადმი თავისი და კოლეგების დამოკიდებულებების ობიექტური შეფასება.

პროგრამის შვიდივე სწავლის შედეგი რეალისტური და მიღწევადია.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა პოტენციურ დამსაქმებლებს, რომლებიც იცნობენ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამას და ისურვებდნენ ამ პროგრამის კურსდამთავრებულების თავიანთ დაწესებულებებში დასაქმებას.

პროგრამაში არსებული სასწავლო კურსები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან.

„ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს თეორიულთან ერთად პრაქტიკული ცოდნა, რაც მას საშუალებას მისცემს სწორად განსაზღვროს თავისი შესაძლებლობები შრომის ბაზარზე და შეძლოს პროფესიით დასაქმება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

სადოქტორო პროგრამა „ქრისტიანობის ისტორია“

სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსები.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა.ცხრილი 1

კურიკულუმის სწავლის შედეგების რუკა და სამიზნე ნიშნულები. ცხრილი 2

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამაზე დაიშვება აპლიკანტი, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარულ, სოციალურ-პოლიტიკურ და დარგთაშორის მეცნიერებებში. აპლიკანტს მოეთხოვება: გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში B2 დონეზე. უცხო ენის გამოცდიდან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი განათლების დიპლომს, შესაბამისი უცხო ენის სპეციალობით, ან შესაბამისი პროფილის აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებული გამოცდის დამადასტურებელ მოწმობას (არანაკლებ B2 დონე) ან უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისოდ აღიარებულ სერთიფიკატს (TOEFL PBT, TOEFL IBT, IELTS ან Cambridge Exam); ბ) ცალკეულ შემთხვევაში, კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი უფლებას იტოვებს მოითხოვოს დამატებით რომელიმე უცხო ენის ცოდნა. გ) გამოცდა სპეციალობაში - სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გამოცდების პროგრამებს, ჩატარების ფორმასა და თარიღს, აგრეთვე, დოქტორანტობის კანდიდატისთვის დამატებით სხვა მოთხოვნებს განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი, უნივერსიტეტის ფაკულტეტ(ებ)ის წარდგინებით. დ) გასაუბრება აპლიკანტთან, რომელიც გულისხმობს აპლიკანტის მოტივაციის, გამოცდილების, პროფესიული განვითარების პოტენციალის, ინტერესებისა და სხვა მახასიათებლების შეფასებას. დოქტორანტობის კანდიდატის განაცხადს თან უნდა დაერთოს რეფერატი ან კვლევითი ხასიათის სტატია, რომელშიც აისახება მისი სამეცნიერო ინტერესები (5-7 გვ.). პროგრამაზე დაშვების პროცედურები გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამის აღწერილობა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის კოორდინატორთან; დოქტორანტებთან.
○ **რეკომენდაციები:** ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამა შედგენილია საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, რომელთაგან 50 კრედიტი გათვლილია სასწავლო ნაწილზე (40-სავალდებულო, 10-არჩევითი), ხოლო 130 კრედიტი - სამეცნიეროზე. პირველ სემესტრებში პროგრამა უფრო მეტად დატვირთულია სასწავლო კომპონენტით. სასწავლო კრედიტები სრულდება 3 სემესტრში. დარჩენილი დრო ეთმობა სადისერტაციო ნაშრომის მომზადებას. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამის აღწერილობა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის კოორდინატორთან; ლექტორებთან და დოქტორანტებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **√☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო კურსის სწავლის შედეგები უმეტესწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უმეტესწილად შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. თუმცა, ამ მხრივ რიგ კურსებთან მიმართებაში, არსებობს შენიშვნები, მაგალითად: • პროგრამის არჩევითი საგნების უმეტესობა ზოგადად რელიგიის ისტორიის მიმართულებისაა და სასურველია მეტად დაიტვირთოს ქრისტიანობის ისტორიის დისციპლინის კურსებით. შესაბამისად, პროგრამის სამომავლო განვითარებისთვის აუცილებელია კვალიფიციური პერსონალის მოწვევა. • პროგრამას უნდა დაემატოს ისეთი სასწავლო კურსი, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტისთვის სამეცნიერო მენეჯმენტის უნარ-ჩვევების ათვისებას. • ვინაიდან სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა უმრავლესობას წინა საფეხურების განათლება მიღებული აქვთ 2006 წლის საგანმანათლებლო რეფორმამდე და შესაბამისად არ აქვთ გავლილი აკადემიური წერა, სასურველია პროგრამის არჩევით ბლოკს დაემატოს სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“. • სასწავლო კურსში „თანამედროვე რელიგიური მოძრაობები“ დასაზუსტებელია თემატიკა (თემა N3, N4, N5, N6, N7). • სპეციალობის სავალდებულო კურსს „ქრისტიანული ღვთისმეტყველების ისტორია“ მოეხსნას წინაპირობა ისეთი სასწავლო კურსების, როგორიცაა „მეცნიერული კვლევების მეთოდოლოგია“ და „სწავლების და შეფასების სტრატეგიები“. კურსის წინაპირობად დარჩეს სასწავლო კურსი „ქრისტიანობის ისტორიის აქტუალური პრობლემები“. • საფუძვლიანად გადასამუშავებელია სასწავლო კურსი „ქრისტიანობის ისტორიის აქტუალური პრობლემები“. კერძოდ სილაბუსში დაშვებულია შეფასებითი და ფაქტოლოგიური შეცდომები, რაც სავარაუდოდ განპირობებულია საბჭოთა

ისტორიოგრაფიისთვის და თანამედროვე პრორუსული შოვინისტური განწყობის მქონე საეკლესიო კვლევებისთვის დამახასიათებელი კლიშეების გავლენით. მაგ: „კათოლიციზმის კრახის ისტორია საქართველოში“ (კათოლიციზმი მნიშვნელოვან ადგილს იჭერდა საქართველოს რელიგიურ და სოცილურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და გაუგებარია რაზეა საუბარი.); „გამოხსნა-აღდგომის თეორია“ და ანტონ პირველი კათალიკოსი (საბჭოთა ისტორიოგრაფიული კალკი - ხედვა რუსეთის მხსნელი როლის შესახებ); რუსეთის საეკლესიო რეფორმების მნიშვნელობა საქართველოში (საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის გაუქმება საეკლესიო რეფორმად მხოლოდ პრორუსული განწყობის ფსევდომეცნიერებამ შეიძლება მიიჩნიოს); „საქართველოს ეკლესიის ადგილის ისტორია რუსეთის იმპერიულ სისტემაში“ (გაუქმებულ/არარსებულ ეკლესიას ბუნებრივია არანაირი ადგილი აღარ ექნება, მითუმეტეს საერო სახელისუფლებო სტრუქტურაში! ესეც რუსული ისტორიოგრაფიის კალკია). ამავე სილაბუსში გვხვდება ისტორიული რეალობისგან დაშორებული და გაუგებარი ტერმინები: „საბჭოთა საეკლესიო მოდელი“ (საბჭოთა ეკლესია არ არსებობდა არასდროს!); „მენშევიკური ხელისუფლების საეკლესიო რეფორმები“ (1918 წლის დეკრეტით და 1921 წლის კონსტიტუციით ხელისუფლება და ეკლესია საქართველოში ერთმანეთისგან იყო გამიჯნული, ხოლო საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური და ბუნებრივია სახელმწიფო ვერანაირ საეკლესიო რეფორმებს ვერ გაატარებდა, ამასთან ტერმინი მენშევიკური ხელისუფლება საბჭოთა ისტორიოგრაფიული კალკია)? ასეთივე ტიპის შეცდომაა „ოზაკომის და სეიმის საეკლესიო პოლიტიკა“!.

- სასწავლო კურსი ბიბლიური არქეოლოგია საბაკალავრო საფეხურის კურსია, შესაბამისად ის ამოღებულ უნდა იქნეს პროგრამიდან.
- უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში სასწავლო კურსები უთანაბროდაა გადანაწილებული აკადემიურ პერსონალს შორის, ერთი აკადემიური პერსონალი კითხულობს ოთხ სასწავლო კურსს (20 კრედიტი), მაშინ, როდესაც დარჩენილი 20 კრედიტი გადანაწილებულია სხვა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე (10 კრედიტის ფარგლებში ხორციელდება პროფესორის ასისტენტობა და საცდელი ლექციის მომზადება).

სილაბუსების დიდ ნაწილში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამის აღწერილობა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის კოორდინატორთან; პროგრამის აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან; დოქტორანტებთან, პოტენციურ დამსაქმებელთან.

რეკომენდაციები:

- პროგრამის არჩევითი საგნების უმეტესობა ზოგადად რელიგიის ისტორიის მიმართულებისაა, შესაბამისად პროგრამა უფრო მეტად უნდა დაიტვირთოს ქრისტიანობის ისტორიის დისციპლინის კურსებით.
- სასწავლო კურსში „თანამედროვე რელიგიური მოძრაობები“ დასაზუსტებელია თემატიკა (თემა N3, N4, N5, N6, N7).

- საფუძვლიანად არის გადასამუშავებელი სასწავლო კურსი „ქრისტიანობის ისტორიის აქტუალური პრობლემები“.
- არჩევითი სასწავლო კურსი „ბიბლიური არქეოლოგია“ საბაკალავრო საფეხურის კურსია, შესაბამისად ის ამოღებულ უნდა იქნეს პროგრამიდან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- პროგრამას უნდა დაემატოს ისეთი სასწავლო კურსი, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტისთვის სამეცნიერო მენეჯმენტის უნარ-ჩვევების ათვისებას.
- ვინაიდან სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა უმრავლესობას წინა საფეხურების განათლება მიღებული აქვთ 2006 წლის საგანმანათლებლო რეფორმამდე და შესაბამისად არ აქვთ გავლილი აკადემიური წერა, სასურველია პროგრამის არჩევით ბლოკს დაემატოს სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“.
- სპეციალობის სავალდებულო კურსს „ქრისტიანული ღვთისმეტყველების ისტორია“ მოეხსნას წინაპირობა ისეთი სასწავლო კურსების, როგორიცაა „მეცნიერული კვლევების მეთოდოლოგია“ და „სწავლების და შეფასების სტრატეგიები“. კურსის წინაპირობად დარჩეს სასწავლო კურსი „ქრისტიანობის ისტორიის აქტუალური პრობლემები“.
- პროგრამაში სასწავლო კურსები უთანაბრადაა გადანაწილებული აკადემიურ პერსონალს შორის, ერთი აკადემიური პერსონალი კითხულობს ოთხ სასწავლო კურსს (20 კრედიტი), მაშინ, როდესაც დარჩენილი 20 კრედიტი გადანაწილებულია სხვა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე (10 კრედიტის ფარგლებში ხორციელდება პროფესორის ასისტენტობა და საცდელი ლექციის მომზადება).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამაში წარმოდგენილ კურსებსა და აქტივობებს აქვს პოტენციალი, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის. თუმცა, 2.3-ში აღწერილი რჩევების შესაბამისად, აუცილებელია შედეგების მიღწევის თვალსაზრისით, გაცილებით აქტიური მუშაობა.

- უნდა აღინიშნოს, რომ გარდა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის წახალისებისა, დოქტორანტებს უნივერსიტეტში არ ეძლევათ კვლევით პროექტებში ჩართვის შესაძლებლობა. უსდ-მ, ფაკულტეტმა და პროგრამის ხელმძღვანელობამ უნდა იმუშავოს ამ მიმართულებით, რაც შესაძლებელია გამოიხატოს მცირე საუნივერსიტეტო გრანტების შეთავაზების შესაძლებლობით.
- ამჟამად პროგრამაზე ჩარიცხული 4 დოქტორანტიდან უმრავლესობას არ აქვს მკაფიოდ განსაზღვრული საკუთარი სადოქტორო თემის მონახაზი და სამუშაო გეგმა. დასაფიქრებელია ისიც, რომ ყველა მათგანს ხელმძღვანელობს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის მდგრადობისთვის უმჯობესი იქნებოდა დოქტორანტთა ხელმძღვანელების რიცხვის გაზრდა. დამაფიქრებელია დოქტორანტების მიერ დასახელებული სავარაუდო სადისერტაციო თემების დისერტაბელურობა. მაგ: „რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში XIX ს-ის პირველ ნახევარში (დეკანოზ ჟვაკინის თხზულების „ანტონ II რუსეთში“ მიხედვით)“, პერსპექტიული შინაარსით და მოცულობით უფრო სტატიის სათაურს ჰგავს, ვიდრე სადისერტაციო თემას; ასევე დაზუსტებას საჭიროებს სადისერტაციო თემა: „ათონის ივირონის საკითხი საერთაშორისო პოლიტიკაში (მე-19-მე-20. სს. 10-იანი წწ.)“. თავად დოქტორანტმა ვერ შეძლო აეხსნა ათონის ივირონის რა ტიპის საერთაშორისო პოლიტიკურ აქტუალობაზე შეიძლებოდა საუბარი XIX-XX სს-ში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამის აღწერილობა;
- მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის რექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის კოორდინატორთან; პროგრამის აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან; დოქტორანტებთან.

რეკომენდაციები:

- უსდ-მ, ფაკულტეტმა და პროგრამის ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართვაზე.
- ამჟამად პროგრამაზე ჩარიცხული 4 დოქტორანტიდან უმრავლესობას არ აქვს მკაფიოდ განსაზღვრული საკუთარი სადოქტორო თემის მონახაზი და სამუშაო გეგმა. დამაფიქრებელია დოქტორანტების მიერ დასახელებული სავარაუდო სადისერტაციო თემების დისერტაბელურობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

პროგრამის მდგრადობისთვის სასურველია დოქტორანტთა ხელმძღვანელების რიცხვის გაზრდა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√☐**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით.
სასწავლო კურსების განმახორციელებლების მიერ სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ზეპირი გამოკითხვა, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, წერითი დავალებები, პრაქტიკული მაგალითების განხილვა და სხვ.
სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამის აღწერილობა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის კოორდინატორთან; პროგრამის აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან; დოქტორანტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვასკვნით, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. ცალკეულ სილაბუსებში დასკვნით გამოცდაზე გამსვლელი ქულის ორი ვარიანტია წარმოდგენილი (11 ქულა და 30 ქულა). სასწავლო კურსების განმახორციელებლების ნაწილს გაუჭირდა პასუხის გაცემა აღნიშნულ უზუსტობასთან დაკავშირებით. ამიტომ სასურველია დაზუსტდეს და განისაზღვროს სილაბუსებში დასკვნით გამოცდაზე გამსვლელი მინიმალური ქულა. „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო პროგრამის სილაბუსებში გაწერილი შეფასების კრიტერიუმებისა და აქტივობების უმეტესობა სტანდარტიზებულია, ყველა მათგანი ითვალისწინებს 8 კვირიან სალექციო დატვირთვას და ინდივიდუალურ მუშაობას კვლევაზე. უნივერსიტეტის ხედვით, ეს მიდგომა აუმჯობესებს სტუდენტების სამეცნიერო მუშაობის უნარებს. თითქმის ყველა სილაბუსი ითვალისწინებს შემდეგნაირ სისტემას: დოქტორანტის შეფასება არის ორ კომპონენტიანი - შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება (სულ - 100 ქულა). შუალედური შეფასების კომპონენტებია: ა) სემინარი - 45 ქულა ბ) რეცენზია სხვა (მ.შ. სხვა დოქტორანტის) ნაშრომზე - 15 ქულა დასკვნითი შეფასების კომპონენტებია: ა) კვლევითი ნაშრომი - 30 ბ) კვლევითი ნაშრომის პრეზენტაცია - 10 სილაბუსები უნდა ითვალისწინებდეს კურსის შინაარსს და სპეციფიკას და ამის შესაბამისად, ინდივიდუალურად უნდა გაიწეროს სწავლების აქტივობები და შეფასების კრიტერიუმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ქრიტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამის აღწერილობა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები;

○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის კოორდინატორთან; პროგრამის აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან; დოქტორანტებთან.
რეკომენდაციები: დაზუსტდეს და განისაზღვროს სილაბუსებში დასკვნით გამოცდაზე გამსვლელი ქულის მინიმუმი. სილაბუსები უნდა ითვალისწინებდეს კურსის შინაარსს და სპეციფიკას და ამის შესაბამისად, ინდივიდუალურად უნდა გაიწეროს სწავლების აქტივობები და შეფასების კრიტერიუმები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამას ჰყავს აქტიური სტატუსის მქონე 4 სტუდენტი. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს ნათელი გახდა, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს თითოეულ მათგანს პირადი კონტაქტით და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით, მუდმივად მიაწოდოს სიახლეები უნივერსიტეტის აქტივობებისა და დარგთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ. პროგრამის დოქტორანტებთან საუბრისას დადასტურდა, რომ მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ კონსულტაცია გაიარონ პერსონალთან აკადემიურ და ადმინისტრაციულ საკითხებზე. თუმცა, უნივერსიტეტს არ აქვს შიდა სტუდენტური პორტალი, რომლის საშუალებითაც, სტუდენტებს საშუალება ექნებოდათ დისტანციურად და ინდივიდუალურად ჰქონდეთ წვდომა მათთვის საჭირო საკითხებზე. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს ამგვარი ბაზის დანერგვაზე. უნივერსიტეტს დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ცაგერის სასულიერო სემინარიასთან, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარიასთან და ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სასულიერო სემინარიასთან. ხელშეკრულებები იდენტურია და მეტწილად, მოიაზრებს პროგრამის კურსდამთავრებულების პოტენციური დასაქმების ხელშეწყობას. უნივერსიტეტს არ აქვს გაწერილი შეფასების გასაჩივრებისთვის საჭირო პროცედურა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ არც დოქტორანტებს აქვთ მწყობრი წარმოდგენა ქულის გასაჩივრების მექანიზმებზე. საჭიროა უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დოკუმენტურად ასახოს შეფასების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი. უნივერსიტეტის დოქტორანტები ინფორმირებულნი არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საუნივერსიტეტო პროექტებისა და კონფერენციების შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პირადი კავშირების საშუალებით, იგი ხელს უწყობს დოქტორანტებს მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში. გარდა ამისა, უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშში საუბარია ურთიერთთანამშრომლობაზე სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, თუმცა პროგრამის სტუდენტები დღემდე არცერთ საერთაშორისო პროექტში არ ჩართულან, ამიტომ, აღნიშნული რაიმე სახის ემპირიული მტკიცებულებით არ დასტურდება. სასურველია უნივერსიტეტმა მეტად იზრუნოს პროგრამის იტერნაციონალიზაციაზე. ინტერვიუების დროს ადმინისტრაციულმა პერსონალმაც და სტუდენტებმაც აღნიშნეს, რომ პერიოდულად აფასებენ სასწავლო კურსის და ლექტორის ეფექტურობას უნივერსიტეტის

მიერ შემუშავებული სპეციალური კითხვარების საშუალებით. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულმა პერსონალმა აღნიშნა, რომ გამოკითხვის ყველა შედეგი რექტორთან იყრის თავს და საჭიროების შემთხვევაში, იგი თავად ახდენს შესაბამის რეაგირებას. უნივერსიტეტი ჩართულია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემების ონლაინ-კატალოგის ქსელში, დაინტერესებულ მხარეებს აქვთ წვდომა ელექტრონულ ბაზებზე. თუმცა, ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ დოქტორანტების ნაწილი ონლაინ სამეცნიერო ბაზებით ნაკლებად სარგებლობს. უნივერსიტეტს აქვს საბიბლიოთეკო რესურსები და პერსონალი მაქსიმალურად ცდილობს ბიბლიოთეკა უზრუნველყოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური მასალით, თუმცა წიგნადი ფონდი საჭიროებს ისტორიული ლიტერატურის გამრავალფეროვნებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ გამოკითხვის შედეგები; ○ ხელშეკრულებები დამსაქმებლებთან; ○ სასწავლო სილაბუსები და პროგრამა;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები ● საჭიროა უნივერსიტეტმა შეიმუშაოს შეფასების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ● პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის, სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ერთიანი სტრატეგია. ● სასურველია უნივერსიტეტმა შექმნას სტუდენტთა ელექტრონული პორტალი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში სადისერტაციო ნაშრომის მომზადების ყველა პროცედურა რეგულირდება „საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით“.

პროგრამაზე მიღების წინაპირობით, დოქტორანტს განსაზღვრული უნდა ჰქონდეს თემის სავარაუდო სათაური და მოპოვებული ჰქონდეს ხელმძღვანელის თანხმობა.

ვიზიტის დროს ნათელი გახდა, რომ აქტიური სტატუსის მქონე ოთხივე სტუდენტის ხელმძღვანელი ქალბატონი ქეთევან პავლიაშვილია, რომელიც მაღალკვალიფიციური სპეციალისტია სტუდენტები აღნიშნავდნენ, რომ ხელმძღვანელი ყოველკვირეულად ხვდება მათ და მაქსიმალურად ცდილობს დაეხმაროს სადისერტაციო ნაშრომის მომზადების პროცესში. ეს შეხვედრები დგება ჯგუფურად, რაც ერთის მხრივ, კარგი პრაქტიკაა, რადგან დოქტორანტებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ ერთმანეთის საკვლევ თემებს, გაიზიარონ ფაქტოლოგიური, თეორიული ცოდნა და მოსაზრებები. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის უშუალო წვლილი პროგრამის განვითარებაში არ იკვეთება, გარდა ამისა, მათი მონაწილეობა პროგრამის შემუშავებაში არ ჩანს. ისინი არ ხელმძღვანელობენ არცერთ დოქტორანტს. პროგრამის ხანგრძლივი სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა მოიძიოს და მოიწვიოს შესაბამისი გამოცდილების მქონე, მაღალკვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, შეძლებენ სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიონ დოქტორანტებს და გარდა ამისა, მნიშვნელოვნად ჩაერთვებიან პროგრამის განვითარების პროცესშიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები
- „საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება“.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა მოიძიოს და მოიწვიოს შესაბამისი გამოცდილების მქონე, მაღალკვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, შეძლებენ სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიონ დოქტორანტებს და გარდა ამისა, მნიშვნელოვნად ჩაერთვებიან პროგრამის განვითარების პროცესშიც.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო

პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თვითშეფასების ანგარიშის, წარმოდგენილი დოკუმენტაციის (აკადემიური პერსონალის მონაცემები) შესწავლისას და პერსონალთან შეხვედრამ დაადასტურა აკადემიური პერსონალის კომპეტენცია სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამაში ჩართული პერსონალის ბიოგრაფიები და წარმოდგენილი შრომები, პუბლიკაციები, კონფერენციებში მონაწილეობა და სხვა აქტივობები ადასტურებს მათ კვალიფიკაციას. პროგრამაში ჩართული პერსონალის კვლევის სფეროებია: საქართველოს ეკლესიის ისტორია სხვადასხვა ქრონოლოგიურ ჩარჩოში. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრებმა ცხადყო აკადემიური პერსონალის და პროგრამის ხელმძღვანელის განსაკუთრებული ავტორიტეტი და აქედან გამომდინარე სტუდენტების მოტივაცია ისწავლონ ამ პროგრამაზე. პროგრამის ხელმძღვანელია პროფესორი ქეთევან პავლიაშვილი, რომელიც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტია, ის ჩართულია პროგრამის განხორციელებაში. პროგრამაში ჩართულია 5 განმახორციელებელი, რომელთაგან აფილირებულ აკადემიურ პერსონალს წარმოადგენს 3, ხოლო 2 მოწვეულია. ორივე მოწვეული პერსონალი კითხულობს თითო სასწავლო კურსს, რომელთაგან ერთი სავალდებულოა, მეორე - არჩევითი. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამაში ჩართული პერსონალი იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს სწავლების პროცესში. „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო პროგრამა ხორციელდება ხელოვნების, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, რომელსაც ჰყავს შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრამ და ინტერვიუებმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს პროგრამის განხორციელებას და მისი რესურსები ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის სახით თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ეხმარებიან ფაკულტეტს და პროგრამის უშუალო განმახორციელებლებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ ფუნქციონირებას. განსაკუთრებით

აღსანიშნავია ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის მაღალი კომპეტენცია და პროგრამაში ჩართულობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი N049-01, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება. მუხლი 6,11,12,13,14. აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, CV-ები და ხელშეკრულებები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა მოიძიოს და მოიწვიოს შესაბამისი გამოცდილების მქონე, მაღალკვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, შეძლებენ სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიონ დოქტორანტებს და გარდა ამისა, მნიშვნელოვნად ჩაერთვებიან პროგრამის განვითარების პროცესშიც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს, რასაც იყენებს პროგრამის შემდგომი სრულყოფისათვის. პერიოდულად ხდება სტუდენტების ანონიმური გამოკითხვა, რაც გამოყენებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაფასებლად. კვლევის შედეგებს საქმისწარმოებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახური გადასცემს უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ შედეგებს განიხილავს პასუხისმგებელ პირებთან ერთად და გეგმავს შემდგომ ღონისძიებებს. ექსპერტთა ჯგუფისათვის გაუგებარი დარჩა რატომ აწვდის აღნიშნულ ინფორმაციას რექტორს საქმისწარმოებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახური, მაშინ, როდესაც ეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციაა (კითხვარი შემუშავებულია აღნიშნული სამსახურის მიერ). რექტორთან ინტერვიურების დროს დაისვა კითხვა, იყო თუ არა უნივერსიტეტში პრეცედენტი გამოკითხვის შედეგად დაფიქსირებულ უარყოფით შედეგზე რეაგირებასთან დაკავშირებით? რექტორმა აღნიშნა, რომ მსგავსი პრეცენდენტი უნივერსიტეტში ჯერ არ დაფიქსირებულა, არსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტი მიიღებს შესაბამის ზომებს, რაც შეიძლება გამოხატული იყოს გაფრთხილებით ან უფრო მკაცრი ზომების მიღებით. საქმისწარმოებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახური, დასაქმებულთა მხარდაჭერის მიზნით, აუცილებლად გადასადგმელი ნაბიჯების ნუსხას გადასცემს უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც საჭიროების შემთვევაში, აღნიშნულ შედეგებს განიხილავს პასუხისმგებელ პირებთან ერთად და გეგმავს შემდგომ ღონისძიებებს. სასურველია უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. საქმისწარმოებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის ტრენინგების, სოციალურ-კულტურული, საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას. სასურველია არ მოხდეს საქმისწარმოებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახურისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციების გადაფარვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით უნივერსიტეტის წესდება და შინაგანაწესი; აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის განვითარების მექანიზმი (რექტორის ბრძანება №033/01 2017 წლის 12 ოქტომბერი); საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები(რექტორის ბრძანება №052/01 2018 წლის 5 დეკემბერი); ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების კითხვარები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. სასურველია არ მოხდეს საქმისწარმოებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახურისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციების გადაფარვა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის თვითშეფასების ანალიზზე დაყრდნობით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ადმინისტრაციის, ფაკულტეტის და სტუდენტებთან გასაუბრებამ საფუძველი მოგვცა დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, სასწავლო აუდიტორიები, ტექნიკური აღჭურვილობა, კომუნიკაციები და ინტერიერი, ბიბლიოთეკა აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ბიბლიოთეკას აქვს წიგნადი ფონდი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერები შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით (ANSYS, MathCAD, MathLAB, ArchiCAD და სხვა); სტუდენტებს წვდომა აქვთ სხვადასხვა ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე. სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ბეჭდური ან ელვერსიის სახით განთავსებულია ბიბლიოთეკაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტს. პროგრამის დასაფინანსებლად გამოყოფილია თანხა უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან (სულ 50279 ლარი სამი წლის განმავლობაში). აღნიშნული თანხა ითვალისწინებს: პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას, საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტის სამეცნიერო მივლინების ხარჯებს, სამეცნიერო შრომების გამოცემას, დოქტორანტთა ნაშრომების საერთაშორისო რეცენზირებას, დოქტორანტის დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებული სხვადასხვა საორგანიზაციო ხარჯების დაფარვას. პროგრამაზე მხოლოდ ერთხელ მოხდა სტუდენტთა მიღება, შესაბამისად პროგრამაზე მხოლოდ ოთხი დოქტორანტი ირიცხება, რომელთა მიერ გადახდილი თანხა (წლიური 2400 ლარი თითოეულ დოქტორანტზე) ვერ ფარავს პროგრამის ხარჯებს. აქედან გამომდინარე პროგრამა დოტაციაზეა. პროგრამის ხელმძღვანელმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უნდა იზრუნონ დოქტორანტთა რაოდენობის გაზრდაზე, რათა პროგრამა გახდეს ფინანსურად მდგრადი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით სადოქტორო პროგრამის განფასება, პროგრამაზე სწავლის ხარჯთაღრიცხვა, დამტკიცებული რექტორის ბრძანებით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამის ხელმძღვანელმა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უნდა იზრუნონ დოქტორანტთა რაოდენობის გაზრდაზე, რათა პროგრამა გახდეს ფინანსურად მდგრადი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და გასავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას და ამ მიზნით იყენებს ხარისხის მართვის ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა დოქტორანტების მიერ პროგრამასთან დაკავშირებით კითხვარების შევსება. კითხვარის ფორმატი, სტუდენტის მიერ კურსის აუცილებლობის, მნიშვნელობის, სასწავლო მასალისა და მეთოდების შესაბამისობის დასადგენად გამიზნული კითხვების გარდა, მოიცავს სტუდენტის თვითშეფასებას სწავლის შედეგებთან მიმართებაში. როგორც ლექტორების, ისე სტუდენტების მხრიდან ინფორმაციის გადამოწმებამ დაადასტურა, შეფასებები უმეტესწილად პოზიტიურია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიღებული კვლევის შედეგებს იყენებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არსებული მასალა; ○ თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალა; ○ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქრისტიანობის ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აღვნიშნავთ რომ პროგრამის სრულყოფის მიზნით, განხორციელდა პროგრამის გარე შეფასება ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მიერ. თუმცა სასურველი იქნებოდა გარე შემფასებელი უშუალოდ ქრისტიანობის ისტორიის მიმართულების სპეციალისტი ყოფილიყო. უნივერსიტეტმა პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით განახორციელა აკრედიტაციისთვის დოკუმენტაციის მომზადება და უშუალოდ პროგრამის წარდგენა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის 2018 წლის 8 მაისის დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების ნაწილი ასახულია პროგრამის განახლებულ რედაქციაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის 2018 წლის 8 მაისის დასკვნა; ○ თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალა; ○ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სხვადასხვა კითხვარები და შეფასების ფორმები აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტის, კურსდამთავრებულის, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტი სისტემატურად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგს და ახდენს მის განხორციელებაში ჩართული მხარეების გამოკითხვას, შემდეგ აანალიზებს შედეგებს და აქტიურად იყენებს მას პროგრამის გასაუმჯობესებლად.

თვიშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს სალექციო პროცესზე სისტემატიურ დაკვირვებას. სამსახური ახდენს სალექციო პროცესზე სისტემატიურ დაკვირვებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და ჩატარებული ინტერვიუები. ○ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის მიერ მომზადებული SWOT-ანალიზი ○ ხარისხის სამსახურის მიერ ხარისხის მართვის პროცესში გამოყენებული კითხვარები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ქრისტიანობის ისტორია, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 37

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ლევან ჯიქია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ბონდო კუპატაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა თეონა კუპრაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა